

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ეფექტური მკურნალობის უზრუნველსაყოფად მედიკამენტების ადექვატური დოზის შერჩევა სტაციონარული გამოკვლევის გზით.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.
2. პროგრამის მოსარგებლეთა იდენტიფიკაცია ხორციელდება “მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ „დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში გაცემული პოლისების მიხედვით („მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა“ დანართი №9), რომელიც წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდების ინსტრუმენტს.
3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

1. ექსპრეს კონსულტაცია, საციენტის სამედიცინო განათლება;

2. სტაციონარულ პირობებში შემდეგი ტიპის გამოკვლევებს:

- ა) ანტროპომეტრია
- ბ) გლიკოჰემოგლობინი
- გ) გლუკოზის განსაზღვრა გლუკომეტრით
- დ) ინდექსი Homa
- ე) კრეატინინის განსაზღვრა
- ვ) მიკროალბუმინურია
- ზ) სისხლის საერთო ანალიზი
- თ) შაქრის საერთო ანალიზი
- ი) ც-პეპტიდი

3. პირველი ექვსი თვის განმავლობაში პერორალური ანტიდიაბეტური პრეპარატებით უზრუნველყოფა.

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

- 1. დაფინანსების ერთეულია მკურნალობის ეპიზოდი და შეადგენს 170,0 ლარს.
- 2. პროგრამით ფინანსდება, მკურნალობის ეპიზოდის 50%-ი, თანაგადახდა შეადგენს 50%-ს პაციენტის მხრიდან.
- 3. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება უფასოა „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამის“ (დანართი 1) მოსარგებლეებისათვის.

მუხლი 6. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმი

- 1. მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2. პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს რეგისტრის წარმოებას.
- 3. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, სატენდერო პირობებს განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 7. ბიუჯეტი

“საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 280.0 ათასი ლარით.